



„ღმერთმა
სამშობლო მიცაცხლე,
მშინარეც
ამას ვდუდუნებ!“

კავკასია

Kavkasia

პროფესორი, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №5-6 (63-64) სექტემბერი-ოქტომბერი 2012 წელი შანი 1 ლარი

ლავა ნადარეიშვილი

ჩვენ ზღვიდან ზღვამდე გავუღით იალქანს!

საქართველოსთვის აჭრიან ბუბუს!
საქართველოში კვეთენ მარჯვენას!
მე ვერ ვპატიობ
ტირანთან ბუნებულს,
ვიცი - ლალატში
ისევ მარჯვე ხარ!
მე ბომბუხმა დამადგა ტორი!
მე ყრუ ებოქა ვზიდე არაბთა!

მე მოგებული დამრჩა დიდგორი!
მე წაგებული დამრჩა მარაბდა!
ამ ვარდებს სისხლი
ვისთვის ედინა?
საკანში ერი ვინ გამოკეტა?
გუშინ შემობყრო ჯალალედინმა,
მერე მეტყვითან თავი მომკვთა!

მე სამარეში გმირები მიწევს,
ფრთხილად ვენები
ღვთიურ ფილაქანს...
ჩვენ დაგობრუნებთ
დაკარგულ მიწებს!
ჩვენ ზღვიდან ზღვამდე
გავშლით იალქანს!



მშენთან და
ღმერთთან
აწლთს...

გვ. 2



თუშეთი, სოფელი შენაქო



ნაპოიანეთი წყვილი
დემოკრატისწავროს
ჩიომის გაგვამს
ნიქოლოზ
შანთაშვილს!

გვ. 5

მარიამ გომეზიშვილი

თბილისის 161-ე საჯარო სკოლის
მეცხრე კლასის მოსწავლე

თავისუფლება

დროითგან უტყვმა, დაჩაგრულმა
და დაქანცულმა,
სევდის ღრუბელში
ჩვენთან მოსვლა

ისევ ინება...
მოგონებებად დაგვიტოვე
წარსული წლები
და ამ დროებს შეუნახე
ძველი ღირსება!

გეტყვი, რომ შენი ვიყავი
და ვარ მარადისად,
რომ შენს კალთებში ვინაგარდებ
და დავიძინებ,
რომ გავისხენებ იმ დროს,

როცა შენით ვხარობდი
უსამართლობით
გატარებულ წლებს
დავითინებ...

გეტყვი, რომ ყველას
სასოებით ისევ მოგვწყურდი,
რომ ეს სამყარო უშენობით
ვერ იარსებებს,
რომ დრო გაგა და ჩვენთან ერთად
ისევ იქნები
და მოგვიშუშებ ძველი დროის
ნაიარეგებს!

თავისუფლებავ, იკაშკაშე,
როგორც ვარსკვლავმა,

ვიდრემდე ძალა ძველებური
დაგვიბრუნდება
და დაგვილოცე კვლავ სიმღერა
„მრავალჟამიერ“,
ბნელეთი გაქრა! — შენი დროა,
თავისუფლებავ!

არ შემიშინდე, აისრულე
გულისწადილი
და უბრძოლველად აღარ დათმო
ჩვენი ღირსება,
სულ ფრიალებდეს შენი დროშა,
როგორც მანდილი,
უნდა გახსოვდეს, — შენი დროა,
თავისუფლებავ!!!




ღია წერილი
ჟუმბარ
გომრიჭიანს
(ჟუბა ლეხელს)

გვ. 4

მშენთან და დამებთან ახლოს...



გიორგი ცნობილია, 1980-იანი წლებიდან საქართველოს მთიანეთის ადგილობრივი მნიშვნელობის იქმნებოდა მუერნობები, მათ შორის თუშეთშიც. 1981 წელს დაინიშნა თუშეთის ახლად შექმნილი მეცხოველეობის საბჭოთა მუერნობის დირექტორად. ეს პირველი რიგში...



ომალოდან დანახული სოფელი ხახაბი

თუშეთისადმი უსაზღვრო სიყვარულმა განაპირობა. საიდანაც მესმოდა ჩემი წინაპრების ძახილი: არ მიატოვოთ, არ დააცარიელოთ თუშეთი, მოდი, მოხედეთ, უპატრონეთ, ალაღინეთ და ააღორძინეთო... და მეც, რაც კი შემიძლო, ძალა და ენერჯია არ დავხრებ საქართველოს მაშინდელი მთავრობის, ჩვენი ახმეტის რაიონის ხელმძღვანელების დანახვებით და მხარდაჭერით, რათა გავძლოდი ჩემი დიდი წინაპრების ამ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან მამა-პაპისეულ საქმეს.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში თუშეთის თითქმის ყველა სოფელში მრავლად ცხოვრობდნენ და შრომობდნენ თუშები. თითქმის ყველა ხალხმრავალ სოფელში არსებობდა დაწყებითი სკოლა, ხოლო თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრში – სოფელ ომალში იყო საავადმყოფო და სკოლა-ინტერნატი, რომელიც 100-180-მდე მოსწავლე ირიცხებოდა. ასევე მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა. აქ ხეობების მიხედვით ჩამოყალიბებული იყო და 1958-60 წლებამდე მუშაობდა რამდენიმე კოლმუერნობაც.

1978 წლის შემოდგომაზე, თუშეთის ისტორიაში სულ პირველად შევიდა საავტომობილო გზა, რასაც მოჰყვა ბევრი სოციალური პრობლემის გადაჭრა. გზას მოჰყვა ასევე ელექტროენერჯის სიკეთე, ტელე-ანტენა, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო, ფოსტა და ა.შ.

გარკვეულ პერიოდში აღსდგა გარემონტდა ძველი ნაგებობები და აიბოთი ახალი საცხოვრებელი

ტელმან იჭირაული ქვემო ალვანელი თუშია. აქაური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. შრომითი საქმიანობა, მას მშობლებმა შეაყვარეს და სასკოლო ასაკიდანვე ზაფხულის განმავლობაში თუშეთში ცხვრის მოვლა-პატრონობაში მამას ეხმარებოდა. სწორედ თუშეთის სოფლებში ყოფნამ განაპირობა იქაური ბუნების უსაზღვრო სიყვარული. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ტელმანმა მუშაობა ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მუერნობაში სხვადასხვა თანამდებობებზე დაიწყო: იყო ბუღალტერი, მოლარე-მონაგარი, მომარაგების დარგში მეცხვარეობის მუერნობის დირექტორის მოადგილე – პარტიული კომიტეტის მდივანი.

დღეს ჩვენი გახეთის სტუმარია თუშეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ღირსეული პიროვნება ტელმან იჭირაული.

სახლი. თუშეთის სამივე ხეობა ერთმანეთს საავტომობილო გზებით დაუკავშირდა.

ზანდაზმული ადამიანები, ვინც თავიდანვე ვერ შეეღობინა მამა-პაპათა ნაფუძარ მიწას და მთებში ცხოვრობდნენ მუდმივად, ავტომანქანების დანახვაზე პირველად იწყებდნენ, ღმერთს და მთის სალოცავებს მადლობას სწირავდნენ და ხმამაღლა იმარტობდნენ: სასწაულია, ან სიხმარაო...

უსაზღვრო იყო მათი სიხარული...


ტრისტან თათრულიაძეც თუშეთის ცხოვრების წესით ცხოვრობს: მწვემსავს ცხვარ-ძროხას, თუშური კარტოფილით ამარაგებს ბარელ ახლობლებს, ბალახს თიბავს და პირუტყვს საკვებს უმზადებს.

კაცებს არც ქალები ჩამორჩებიან: ქალბატონი ქეთევანი – ვანკა პაპას მეუღლე, 65 წლის ესმა აქიმიძე – თუშეთის სული და გულია. რუსულად ელიზბარძე, რომელიც მეუღლესთან – ელგუჯასთან ერთად ცხოვრობს ომალში, წელიწადის ყველა დროს, თუშებისთვის ქალბატონი რუსული ექთანაც არის და ექიმიც... ხან ფეხით, ხან ცხენით სოფლიდან სოფელში გადადის ავადმყოფების დასახმარებლად. დიდთოვლობასა და ღამის საათებში მეუღლეს წინ გაიძლიერებს ხოლმე მეგზურად და თოვლის გამკვალავად.

ბუღმყოფულად ცხოვრობენ ომალში იასონ იჭირაული, მამა-შვილი ომარ და ზურაბ იჭირაულები. შენაქოში კაკო და ქრისტო ბუჭუაძეები, დართლოში: ახალგაზრდა კაცი ბესიკ ილიძე. კვავლოში – კარლო ქუჯაიძე, დანოში – შენგელი თათარიძე, ჩიღოში – სოსო ბაკურაძე და სხვები.

მნელია ყველას ჩამოთვლა,

შემდგომ 10-15 წლიანი პასიური ცხოვრება თუშეთსაც შეეხო, მოსახლეობამ კვლავ იწყო კახეთისკენ



დიკლო რამაზ ნაცვლიშვილის ფოტო

ჩამოსვლა, თვალსა და ხელშეუიცილებოდა იქაურობა, მაგრამ კვლავ შემობრუნდა თუშეთში ცხოვრება, განახლდა და გაიწმინდა გზები, დაიწყო მრავალი სოციალური პროექტის განახლება – განხორციელება. მომრავლდნენ თუშეთის ღონიერებიც. ეს



გირევის ციხეები რამაზ ნაცვლიშვილის ფოტო

რომლებიც თუშეთის სხვადასხვა სოფლებში მუდამ ადგილის დედის ერთგულ მეციხოვნეებად დგანან.

კუთხე გამოცხადდა დაცულ ტერიტორიად, შეიქმნა ეროვნული პარკი, ლანდშაფტის ადმინისტრაცია და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის კობა მაისურაძის 15 აპრილის ბრძანებით გელა ბასტურიძე დაინიშნა არასამეწარმე ოურიდიული პირის თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის დირექტორად. კვლავ წინა პლანზე წამოიწია სოციალურმა პრობლემებმა: წყალი, ელექტროენერჯია, ტელევიზია, მგებისა და ჯეოსფეროსის ანტენები დამონტაჟდა და ა.შ.

დღესათვის, მართალია შეთხველა ზამთარში თუშეთში მოზამთრეთა – მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი, მაგრამ მთლად მაინც არ იცლება. თუშეთში ხეობების მიხედვით 25-30 კომლი რჩება. მუდმივად მცხოვრებთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

ჩვენთან უკვე შეიქმნა სასახ-

ლებს აწუნებდა საავტომობილო გზის პრობლემა... ესეც მოიხსნა – ხისოს ჭალიდან ორივე სოფლის მიმართულებით შეკეთდა გზები გომეწრისა და პირიქით ხეობებში დაწყებული საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაპროექტდა ზემო და ქვემო ომალის სასამელო წყლის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტდება საკანალიზაციო ქსელების მოწყობა.

ჩვენთვის მთავრობის დაფინანსებით გრძელდება მზის ბატარეების სამონტაჟო სამუშაოები. ეს პროგრამა სამ წელიწადზე გათვლილი და მას დიდი სიკეთე შემოაქვს თუშების ოჯახებში... და არა მარტო მათთვის. ჯერ მცირე რაოდენობით, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, თუშეთისკენ ზაფხულის სეზონზე ტურისტების დიდი ტალღა დაიძრა, გზა კიდევ უფრო გაფართოვდა და კეთილმოწყობილი გახდა.

- ბატონო ტელმან, ვიცი, რომ ზაფხულის მაშინდელ სეზონზე ტურისტების რაოდენობის მზრევ თუშეთი მსოფლიო ათეულში შევიდა და მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც მეტად სასიხარულია, წლეულს რა ხდება ამ მხრივ?

- ამ სეზონზე უფრო მეტი ტურისტი და ვიზიტორი გვეწვია...

შენდება და მშენდება თუშეთი. დღესათვის აქ 30-35 საოჯახო სასტუმრო ემსახურება ტურისტებს. რამაც გარკვეულწილად დაასაქმა თუშებიც. 2011 წელს თუშეთში შემოსულ ტურისტთა და ვიზიტორთა რიცხვი ცხრა ათასამდე გაიზარდა, წელს უფრო მეტია და მალე დაზუსტდება მათი რაოდენობა, რაც გარანტიას გვაძლევს იმისას, რომ მომავალში ბევრი ტურისტი და დამსვენებელი შემოვა ჩვენთან და უფრო მეტ სამუშაო ადგილს შექმნის ჩვენი თუშებისათვის და მათი ეკონომიური კეთილდღეობისათვის.

ესაუბრა იზა ჯაჭვამძე.

ბაკური მორგოშია



დაიბადა წალენჯიხაში 1974 წელს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის – რევაზ მორგოშიას და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფილოლოგიურ ფაკულტეტს (კლასიკური ფილოლოგიის) კურსდამთავრებულს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქტორის, ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დაჯილდოების განყოფილების გამგის, დიდებული ტერენტოლოგიის ანტიკური ლიტერატურის მკვლევარის ციური ქიტოშვილის ოჯახში. სწავლობდა თბილისის I ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში, ამავედროულად ხელოვნების სკოლაში სახვითი ხელოვნების განხრით, ი. ნიკოლაძის სამხატვრო კოლეჯში, ქ. გრაციის (ავსტრია) ტექნიკურ უნივერსიტეტში – ტელემატიკის განხრით.

ჰქონდა ორი სამხატვრო გამოფენა რომში და პარიზში – არის სიურელიზმის მიმდევარი. ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში. არის ზვიად გამსახურდიას იდეოლოგიის მიმდევარი. იღწვის სამშობლოს მომავლისთვის მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით.

დიდი დაძაბვა და ქურუმები
სადღაც მაღავენი
მთვარის კრისტალებს.
გზა მოფენილია ქაოსის თემებით
შუქის ნატამალს რომ არ იკარებს.

გულის თვალეებით
მზეს მაინც ვხედავ,
თუმიცა სიბრმავე
თვალს არ მარიდეებს,
და ჩაგურნულად
საფლავეებს გაქრალს
ვით სიკვდილისთვის
გაქრალ რაინდებს.

შენ, ქარიშხალი,
ურჩხულის ფრთების,
შემოყოლილი წამწყდართ ვაებას,
წადი, უთხარი ქვესკნელის სულელებს
ნუ ზეიმობენ ჯერ გამარჯვებას.

წადი, უთხარი, რომ ისევ კრთება
მონეტაილე სანთლის საკრალი,
რომ ისევ სუნთქავს
ტაძრის კარებთან
უკანასკნელი მცველი გრაალის.

მონებბანელს

ზ ა მ თ რ ი ს კ ლ ა შ ი

პა, ოკეანე, დიდი ზვირთებით,
დიდი სიცივე და უმწეობა.
მე ვიხდი ტანზე, მზეა ყინულის,
და ოკეანით მინდა გართობა.

მივარდევ ზვირთებს
უსასრულობის,
მხოლოდ არის აქ ჩემი გეზი,
აქ იძინება ამათება
და უკვდავების ყიფილი მესმის.

გელარ განმსაზღვრავს
გვ სანაპირო,
მიმიღო დიდმა უნაპირობამ.
აღარ ჩანს მიწა და მიხარია,
რომ შევასრულე ჩემი პირობა.

პა, ოკეანე, დიდი ზვირთებით,
დიდი სიცივე და უმწეობა.
მე ვიხდი ტანზე, მზეა ყინულის,
და ოკეანით მინდა გართობა.

მუდამ მშიერი და უმადური
საკუთარ კანში ველარ ეტვი
და სინარბისგან ვახელებული
აქეთ ედები, იქით ედები.

დასახინრებულ ნიღბიდან ოხრავს
უსახურობა შენი რაობის;
ხურდის საკრეფად
მუნღებზე მხოხავს,
დაცქერს დღე შენი არარაობის.

შენ მე ვერ მხედავ,
შენ მე არ მიცნობ,

შენ ვერც გამიცნობ
და ვერც შემიცნობ,
რადგან ამ სპექტაკლს
მე არ ვესწრები
და არც მალეღვებს
როდის დაიწყო.

ამათებას გარიდებულები
სინამარმონიღო მინდორზე გწეგარ
და ვისმენ რუდუნს წმინდა სინულის,
სულს შეგუბერავ ბაბუაწვერას.

ჩ ა ზ ე ო ც ნ ე ა ო ზ ე ნ თ ი ა ნ ე თ შ ი



კვირის ბოლოს, მომავალი ორშაბათის ჩათვლით მშობლიურ თიანეთში მივდივარ, სადაც ერთადერთი, ბაბოჩემი მელოდება, - პაპას გარდაცვალების შემდეგ მოტეხილ-ჩამოღვენილი.

დიდუბის ავტოსადგურში ნახევარი ლიტრი ცივი წყალი ყველგან ლარი ღირს. ლარს ვინდა ჩივის, 5 ლარისან არავინ გიხურდავებს. უწყლოდ ავდივარ სამარსურულ ტაქსში...

ჟინვალის გავლით მივდივარ... ჟინვალი – თიანეთის საცხენოსნო გზაზე სამგან ისეთი ჩასვარდნია, მძღოლის ოსტატობა რომ არა, მეზავრის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდა, ქვემოთ პირდაღებული უფსკრული... რამდენი დაპირება მოუსმენიათ თიანელ მეზავრებს, „ზემოდან“, გზას კი არაფერი ეშველა. ეს გზა მაინც რომ იყოს, ხომ უფრო ხშირად ვივლიდით თიანეთში. განა ყველას შეუძლია საბადურების გზაზე სამსაათიანი მეზავრობა?!... ან რა აუცილებელია, როცა შეიძლება საათნახევარში თიანეთში იყო.

ერთადერთი იმედის მომცემი ფუმნარის ტაძარია... ჩემი თიანეთივით ათასგვარ პოლიტიკურ თუ სხვაგვარ უამინდობას რომ უძლებს... ევრობიდან გამოგზავნილი პურით და ცრემლით ფეხზე მდგარი თიანეთივით არის ეს ტაძარი, დაუწოქებელი, თავაწეული, ჩამონგრეული, მაგრამ მაინც გუმბათით ღვთისკენ თვალაყ-

რობილი... ფუმნარის ტაძარი უნდა აღდგეს... სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია... იმედო სანთლად ანთია და ჩვენც, თიანეთელი მეზავრები პირველის წყრით ვცივდებით ტაძარს... ეს ის ტაძარია, რომელიც ბევრჯერ შეგებებია თიანელ მაყრებს, ქალი და ვაჟი ამ ტაძრის ჩრდილში სანთლით ხელში დაულოცია თამადას, უფლისთვის შეუვედრებია მაყრონს მათი გზა-სავალი... სხვათა შორის, გოდერძი ჩოხელის ფილმის, „სამთხის გვრიტების“ ფინალი ამ ტაძარშია გადაღებული, სადაც ყველა – წერა-კითხვის უცოდინარიც და მცოდნეც ბოლოს ერთ მრევლად ერთიანდება...

თიანეთის სოფლებში გზიდანვე ჩანს, როგორ თავგამეტებით შრომობს მიწას მიმტერებული ხალხი... ყველას არა ჰყავს საბერძნეთში ნათესავი... ბევრისთვის ეს მიწა უფრო მეტია, ვიდრე ცრუ დაპირებების მოსმენა... თანაც უკვე მერამდნედ. მწვანედ ბიბინებს კარტოფილი, სიმინდი და ლობიო, სათუთად სარები რომ შეუყენებიათ. მიწის ნაყოფი ან უნაყოფობა



ბნება ხელეხდაკოყრილი გლეხი.
წლუულს ზაფხული თიანეთში, ისევე, როგორც ზოგადად, რეგიონებში პოლიტიკურა-

უკანასკნელის უფასო გამოცემები ვრცელდება, თუმცა ბევრი ერიდება „ქართული ოცნების ოფისის“ გაზუთის წამოსაღებად რომ მიაკითხო. მიზეზი არის შიში იმისა, რომ მეორე დღეს მის ახლობელს სამსახურიდან გაათავისუფლებენ. სასჯელის ეს ფორმა, როგორც ჩანს, თიანეთში ახალი არ არის და შესაბამისი პრეცედენტებიც არსებობს.

რომელ პარტიაშია ხსნა? ეს არის კითხვა, რომელზეც ცალსახა პასუხი არ არსებობს. ბევრს ქართული ოცნების ახდენის სჯერა და აშკარად თუ ფარულად კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერას უცხადებს. რაზე ვოცნებობ მე? თიანეთის მისაღვომებთან გზების რეაბილიტაციაზე ვოცნებობ, რომ თამამად ვიმგზავროთ თიანეთში და მივხედოთ ჩვენს მარტოდ დარჩენილ ბაბო-პაპებს.

რაზე ოცნებობს ბაბოჩემი? ოცნებობს, რომ მომავალ ზამთარს მაინც იყოს ბუნებრივი აირი თიანეთში, რომ შიში არ ჰქონდეს, შეშა რით იყიდოს. ოცნებობს რომ ალუდინონ უკანონოდ მოხსნილი დახმარება... ოცნებობს რომ მისმა თანამემამულე მოხუცებმა ბიბლიოთეკის პირველ სართულზე სამარცხვინო „უფასო სადილზე“ აღარ იარონ და ღირსეული სიბერე ჰქონდეთ.

მს არის ქურნალისტიკა?!

ჟურნალისტიკის ბასრი ენა თუ კალამი, ამ თაკარა ზაფხულში სამში გახდა! იმდენად საშიში, რომ თვით პატრიარქმაც კი მოუწოდა მედიას, ცეცხლზე ნავთის დასხმას მოერიდეთო. ნაცმო „ოცნებას“ კონტროლირებადი მედიით და „დესანტით“ ებრძვის. დესანტს ოცნების მხარდამჭერი მედიის დამანტაჟება, დაშინება, დაცინვა-შეურაცხყოფა ეკადება. დღეს, როგორც არასდროს ცხადია, ვინ ვის წისქვილზე ასხამს წყალს. მმართველი რეჟიმის ქვეშევრდომი მედია „მეოცნება“ ჟურნალისტიკებს ერთი დედას არ აგინებენ, - სხვა ყველა ფორმით ამცირებენ და აშანტაჟებენ. ამის მაგალითია ჩაჩურას პრეცედენტი.

ქოროეს მხრივ „ინფო 9“ ასევე არანაკლები შეპართებით ცდილობს ლამის მიკროფონის გადაყლაპვამდე ამოქანოს ინფორმაცია სასურველი საინფორმაციო ღრუდან. ერთია, როდესაც ჟურნალისტი ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია და მეორეა, როდესაც ჟურნალისტი აიძულებს რეპორტირებს – თქვას რაიმე!

და მაინც რა არის ჟურნალისტიკა?! ხელისუფლების დამხობის და ხელისუფლებაში მოსვლის იარაღი?! რაც დღეს ხდება ქართულ ჟურნალისტიკაში; ამას შედეგად მოჰყვება სერიოზული უნდობლობა ჟურნალისტიკის მიმართ. საზოგადოება ისედაც უკვე აღარ ენდობა ამა თუ იმ ინფორმაციას. არადა, ჟურნალისტიკის ისტორიას თუ გადავხედავთ, ჟურნალისტიკა პიართან წილნაყარი კი არა, პატრიოტიზმთან წილნაყარი უფრო იყო.

ურჩენიათ იმ დაპირებებს, საარჩევნო სმების სანაცვლოდ რომ სთავაზობენ ხოლმე. „ისევ ჩემი ხელით მოწვეული ლობიოს ჭამა მირჩენია ტყუილების „ჭამას“ - ჩვეული ოუმორით მეუ-

დაც „თაკარა“ არის. თვალში საცემია „ქდმ“-ს და კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისები თიანეთის ცენტრალურ ქუჩაზე. ხალხში ამ

ლევან ცალუღელაშვილი

დროის ლაბირინთი

ღია წერილი ჯუმბერ გომბრიჭიანს (ჯუზა ღებულს)



ჩემო ჯუზა!
მიუხედავად ჩვენი ხანმოკლე ურთიერთობისა, შემიძლია თამამად და სიამაყით ვთქვა: რომ შენ ჩემი გულშემოტივი და მეგობარი ხარ!... თუ შენს განვილი გზას თვალს შევაწვდენ, ამაღლებული სულის ვაჟკაცად მესახები. შენ ბუნებრივად მიმდევარი ხარ ჩვენი დიდი სულიერი წინაპრების, ტრადიციების და ადათ-წესებისა... განსაკუთრებით მინდა შევეხო შენს რაინდულ თვისებებს, რაც დღევანდელი ჩვენში, ჩვენს თანამემამულეებში დეფიციტად იქცა. მინდა ჩვენს გარშემოცხოვრებას ვამცნო შექმნილი: ჩემს ყოფილ რედაქციაში – „საქართველოს რესპუბლიკაში“, ანუ საბჭოთა სისტემის დროინდელ „კომუნისტში“, სადაც დავიბადე და გავიზარდე ჟურნალისტად, ბევრი ჭირ-ვარამი გადავიტანე ბიუროკრატიულ წნეხში მოქ-

ცეულმა, ეროვნულ მოძრაობაში ჩაფლულმა, ბევრი დისიდენტად მივიღე... ეს საბჭოთა წყობილების და რუსეთის კოლონიური ყოფის ბოლო ეტაპი იყო... მჭიდრო კონტაქტები მქონდა სულკურთხულ მერაბ კოსტავასთან და განსაკუთრებით კი რაინდული სულითა და გარეგნობით გამორჩეულ ზურაბ ჭავჭავაძესთან... მაშინ არალეგარულ ჟურნალს – „საქართველოს მოამბეს“ მთავაზობდა ხოლმე გასაუბრებლად მთიელებისთვის, როგორც თავდაუზოგავ მთებში მოსიარულე ჟურნალისტს.
მოგესვენებთ, იმ დროს, საქართველოში ძალიან ბევრს საღათას ძილით ეძინა და სასტიკად იკრძალებოდა თავისუფალი სიტყვა, ეკლესიაში შესვლაც კი და საქართველოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი...
სამი თვის წინ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში მივიტანე გაზეთი „კავკასია“, სადაც სხვა მეგობრებთან ერთად ჯუზა გომბრიჭიანს გილოცავდი დაბადების დღეს. გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარი გადავიცი ძველ კოლეგებს და მათ შორის სპორტის განყოფილების წამყვან ჟურნალისტს, თავადაც კაი ყმას და წარმოშობით რაჭველს **გია პლატონიშვილს**. მან ასე უცებ როგორ იპოვა ის ადგილი და... გია აღტაცებული გამომეღევენა და მომამაზა: დიდი მადლობაო, იცით, რომ ჯუზა გომბრიჭიანი რაჭის რა სახელოვანი ოჯახშიშვილია და ჩვენი მხარის გვირგვინი?... ასეთი აღფრთოვანებული გია არასოდეს მინახავს. არა მარტო გია, ვინც ჯუზას იცნობს მოხიბლულია მისი ადამიანობით და ვაჟკაცობით.
უკვე ჩემი დიდი მეგობარო და პოეტო – ჯუზა, დღეს დიდი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების: ავთანდილის და ასმათის ქვეყანაში, სწორედ ჭეშმარიტი მეგობრობა გასაკვირი. გლობალიზაციის საწყისმა ეტაპმა,

უცხოეთიდან ჯოგებად შემოსულმა დეგრადირებულმა მასამ, სხვადასხვა ჯურის ტომებმა, ლამის გაავერანონ და ამოძიკონ ჩვენი სამშობლოს დიდი წინაპრების: თამარის, ნინოს, ქეთევანის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლე მეფის, დიდი ილიას და სხვათა წმინდა, შეუბღალავი და შეურყეველი მიწა-წყალი. მამაცი და მაღალსულიერი ადამიანების ზნე-ჩვეულებანი და სხვა.
მოკლედ, საქართველოს კულტურულად დაპყრობა ხდება, რაც ყველაზე მეტად მიკლავს გულს!...
ბედნიერი ვარ იმით მაინც, რომ ჩემს სამეგობროს შემოემატე ასეთი რაინდული ბუნების ვაჟკაცი და სიკეთის განსახიერება, ჩვენი ჯუზა!...
ჩემმა ძვირფასმა რედაქტორმა **არმაზ სანბლიძემ** ადრე ასეთი სამასოვრო სიტყვა ჩამიწერა ალბომში:

„გაზაფხულზე პირველად პეპელას რომ შეხვდები, დაინახავ ყვავილებში მოფარფატეს, უნდა უთხრა სამჯერ: გიჯობნია, გიჯობნია, გიჯობნიაო!“
შენ რომ გხვდავ, შენ რომ გხვდები, მინდა გითხრა და სამჯერ გავიმეორო:
გიჯობნია, გიჯობნია, გიჯობნია!...
შენ კი... ბევრისთვის გიჯობნია, ჩემო ჯუზა, სიმართლით, კაცობით, სიკეთით!...
გიჯობნია შენი ლექსით, შემოქმედებით, საერთოდ გიჯობნია გამოვლილი გზით, რომელიც სხვათა მონათხობით მაქვს გავიანილი და ხანმოკლე, მაგრამ პირადი დავირვებით შექმნილი.
გიჯობნია და კვლავაც მჯობნის მჯობნად დარჩენას გისურვებ წმინდა სულის, საქართველოს საამაყო ვაჟკაცი, ჩემო ჯუზა!...
იზა ჯაჭვაძე



„...შოქის ვერ ავანთებ, ტოცა სხვები სხედან უშოქოდ...“ ჯუმბერ გომბრიჭიანის მემოქმედებითი საღამო

**2000 წელს პოეტმა და ჟურნალისტმა ჯუმბერ გომბრიჭიანმა წერილი მისწერა მკითხველს, რომლის გასწვრივ და წაკითხვის უფლება მხოლოდ 2010 წელს ჰქონდა! წერილი, უდავოდ, იმედიანი უნდა ყოფილიყო. ათი წელი პოეტს საკმარისად მიაჩნდა ქვეყნის ბედობის შესაცვლელად... სამაჩაბლო, შიდა ქართლი ანუ ცინგალის რეგიონი ერქმეოდა, აფხაზეთს – აფხაზეთი, ქვეყანაში ქართული სული იტრიალებდა... უშუალო, მათხოვრული ყოფა შევებით შეიცვლებოდა... ცული მხოლოდ ის იქნებოდა, რომ ამას დიდება-პაპები ვერ მოესწრებოდნენ.
ათი წლის შემდეგ, მე, რიგითი მკითხველი, ვკითხულობ მის წერილს და გულწრფელად მინდა მივულოცო ჯუზა ღებულს, რომ გვაქვს შუქი, გაზი, გზა და მისი ტკივილით და სიყვარულით გაკვერთული ლექსები... მინდა მივულოცო, რომ დიდებები ბებია-პაპები ვერ მოესწრნენ ქართული სულის გადაჯიშებას...**




ახლახან გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ჯუზა ღებულის პოეზიის საღამო, ჟურნალისტები, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები და პოეტის პოეზიის თავგანისმცემლები. საღამო მიჰყავდა ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, წმინდა გიორგის ორდენის კავალერს, პოეტს **მზია ხეთაგურს** და პოეტს, თბილისის

წება ტყელი
ჯუმბერ გომბრიჭიანი
საბჭოთა საზოგადოების
დასაწყობი
საბჭოთა საზოგადოების
დასაწყობი

საბატიო მოქალაქეს **თემურ ჩალაბაშვილს**.
საღამოში მონაწილეობდნენ ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **რევაზ მიშველაძე**; პოეტები: **ბალათერ არაბული, მარინე თუქთუშანიძე, იზა ჯაჭვაძე, ქეთევან დოლიძე, ნინო ქუთათელაძე**, სტუფანწმინდელი **თენგივ ავსაჯანიშვილი, ირმა შიოლაშვილი** გერმანიიდან, **ჯარჯი შუქრიაული, ოთარ ფალიანი, შოთა ტოგონიძე, ნინო ტარყაშვილი, ლალი უბლაყა, ელგუჯა ლებანიძე, მსახიობი ელდინო საღარაძე**... ეს არასრული სიაა იმ გამომსვლელებისა, ვინც ჯეროვნად დააფასა და აღნიშნა ჯუზა ღებულის პოეზიის არსი და დანიშნულება; ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტის შვილები და მეუღლე, ჟურნალისტი **ნანა თეთრაძე**, რომელიც დიდი ხანია უცხოეთში ცხოვრობს და რომელმაც სამადლოებელ სიტყვაში მეუღლეს უთხრა: „მოვედი შენთან... მიყვარხარ და მაღლობელი ვარ, მხედ რომ არსებობ“...
– „ეს წიგნი იალქნიანი გემი იქნება, რომელსაც გეზი პირდაპირ

ყოველთვის საჭირო ადგილზეა! მისი ცხოვრების წესი არანაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი შემოქმედება... მას არ სჭირდება ალესილი დანის პირზე სიარული. ჯუზა ღებული სულით და ხორცილთ თავის ქვეყანას ეკუთვნის და სამშობლოს მღვრიე მდინარეს იმ ხალხთან ერთად მიარღვევს, ვისზეც წერს და ლოცულობს.
– „შუქს ვერ ავანთებ, როცა სხვები სხედან უშუქოდ, ხორცს ვერ მოვხარშავ, როცა სხვები სხედან უპუროდ“, – წერს ჯუზა ღებული ერთ-ერთ ლექსში – „ლოცვა“ და მჯერა მისი გულწრფელობის, რადგან რაც გააჩნია, ყველაფერი ხალხს ეკუთვნის, ბოლომდე იხარჯება და გასცემს რაჭული ბიჭილასავით დადასმული გულიდან – სიყვარულს, თანაგრძობას, თანადგომას, იმედს...
„შენს სამშობლოს უნდა მოვლა, ახლა უნდა შენთან ყოფნა, გასხვისებულს ასე ყოვლად, დაწინწკლულს და დაშლილს...“
თუ გული არ ავითროლოდა, თუ სისხლი არ ავიჭქროლოდა, თუ ნერვი არ ავიტოკადა რა კაცი ხარ მამინე!
ციციწო ბაბუციწო პოეტი.

ოთახი ცარყურამვირი



ოთარ ცალუღელაშვილი

ასლახან თიანეთის ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე ღიზანის 15-სართულიანი საავადმყოფო, სადაც განთავსდა პოლიკლინიკაც და სასწრაფო დახმარების ბრიგადებიც. ეს შენობა იანვრიდან შევიდა ექსპლუატაციაში.

სანიტარული და ჰიგიენური პირობები, ძველთან შედარებით, კარგია. არის შესანიშნავი გათბობა, რომელიც თიანეთში დღესაც ბევრგან ძალიან პრობლემურია – ცხელი და ცივი წყალი თითქმის მუდმივად არის. რენტგენის ახალი, თანამედროვე აპარატი დაგვიდგეს. ექსოსკოპის და ელექტრო კარდიოგრაფის. ამისათვის ზომ სათანადო კადრია საჭირო და მომზადება, ესეც მოგვარებულია.


აქ საინტერესო ის არის, რომ ადგილზე



ანიკო

გადაუღებელი სამედიცინო დახმარება შესაძლებელია და კეთდება კიდევ: განსაკუთრებულ შემთხვევებში კი რესპუბლიკური სახსრებით ხდება პაციენტების დროული გადაყვანა მცხეთის და თბილისის კლინიკებში. იქაც კარგი პირობები ვაქვს, წამლებით მომარაგებაც კარგია.

ხელფასები პერსონალისათვის: გამონახულია გამოსავალი იმის გამო, რომ მოსახლეობა შედარებით მცირეა, დაზღვეული პირების რაოდენობიდან გამომდინარე დატვირთვა შესაბამისად მცირეა, აქედან შრომის ანაზღაურება დაბალია, მაგრამ გამონაკლისის სახით თიანეთის სამედიცინო ცენტრის დაფინანსება, გამონაკლი-



ჭუჭაბა

სის სახით ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტ-დანაც. ვერეთოვდებული გლობალბიუჯეტით. ამის მეორებით ხელფასები მეტნაკლებად მისაღებ ფარგლებშია.

ჩვენთან კადრები ვერვერებით ადგილობრივია, მაგრამ ასაკის გათვალისწინებით უახლოეს მომავალში თუ ეტაპობრივად არ მოხდება ახალგაზრდა კადრებით შევსება, მოსალოდნელია ადგილობრივი კადრების დეფიციტი.

თუ ადგილობრივი არ იქნება, იყოს ჩამოსული, რა არის ამაში ცუდი?

– ცუდი არაფერია, მაგრამ ჩამოსულ კადრს ექმნება დამატებითი ყოფითი და მატერიალური პრობლემები (ბინა და ასე შემდეგ), მას ზომ მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.



მლამა

წუხილია მის ჩანაწერებსა და მინიატურებშიც.

წ ი გ ნ შ ი აგრეთვე შესულია წერტილები ზაირა კელიშვილის შემოქმედების შესახებ. მათი ავტორებიც, მსგავსად ამ წიგნის ავტორისა, ის ადამიანები არიან, რომლებიც სამშობლოს და ოჯახს მოწყობის დიდა კატაკლიზმებსა და რომელთაც საბერძნეთში უწევთ შრომაც და ლიტერატურული მიღწევადაც.

ავტორი წიგნს უძღვნის დედას – ლუბა სეფაშვილ-კელიშვილს.



წიგნი „ზაირა კელიშვილის მეორე კრებული, რომელიც ახალი ლექსები, ჩანაწერები და მინიატურებია შესული. ცხოვრების ბედუქუღამ-რობის გამო საქართველოდან შორს, საბერძნეთში ემიგრანტად ქცეული პოეტი მაღალმხატვრული შტრიხებით გამოხატავს იმას, რასაც სამშობლოს თუ საკუთარი ბედით გულმოკლული ადამიანი განიცდის უცხოობაში. იგივე

გაზეთ „კავკასიის“ მორიგი ნომრის სტუმარია თიანეთის კოლორიტული პიროვნება, თიანეთელების დიდი იმედი, ექიმი ოთარ ცალუღელაშვილი, რომელმაც მეუღლესთან, განათლებით ფარმაცევტ ქეთევან ხატიაშვილთან ერთად, ქვეყანას შემატა ზუთი სახელოვანი ვაჭაპცი.

მის ოჯახს ყველა შენატრის და თიანეთში არ დაბადებულა კაცი, მათზე აუცი თქვას, პირიქით: ამ ოჯახს მუდამამს ქვებით ასხენებენ ხოლმე. შეიღები: ზურაბი – ინგლისური ენის სპეციალისტი, არჩილი – ექიმი მკურნალი, დავითი – ტურიზმის სპეციალისტი, ილია – ფეხბურთის სახეობაში სპორტული სკოლის მწვრთნელ-პედაგოგი, თორნიკე – სასულიერო სემინარიის სტუდენტი.

– უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალ კომფორტულ ნაგებობას და გაუმჯობესებულ პირობებს თან მოჰყვა მოსახლეობის მომართვიანობის მკვეთრი მატება. თვალში საცემია პაციენტის სიმრავლე და ამასთან ნდობაც გაიზარდა. მათ კმაყოფილებას საზღვარი არ აქვს ასეთი მნიშვნელოვანი და გაუმჯობესებული პირობების გამო.

– მოდით, ახლა გადავხედოთ წარსულს. რა შეგიძლიათ მოგვითხროთ ამის შესახებ მედიცინის სახით?

– პიროვნებების ჩამოთვლა შეიძლება, რომელთაც მიუღია ეპოქა შექმნეს ამ თვალსაზრისით. ივანე ქსენელაშვილი (ვანო ექიმი). დავით სანიკიძე. თენგიზ ხელაძე. ანდრო კუჭავა. მოსახლეობას ვერ წარმოუდგენიათ მათ გარეშე



დათო

სამედიცინო დაწესებულება. და... კიდევ ჩამოვთვლი: ანა სულხანიშვილი, ევლო ბაიაშვილი, ანიკო კავკასიძე, მარიამ ქისტაური (მარო ექიმი), ნინო ავლიშვილ-ბაიაშვილი...

– ზომ ვერ გვეტყვიან თიანეთში როდის დაარსდა სამედიცინო დაწესებულება?

– როგორც გამოვიდა XIX საუკუნის თიანეთში მოსახლეობას პირველ სამედიცინო დახმარებას ფერმალი უწევდა. შემდგომში XX საუკუნის 20-იან წლებში გახსნილა სამკურნალო. კადრები ძირითადად ჩამოსულები ყოფილან, რაოდენობაც მცირე და დახმარებაც ცხადია არამრავალფეროვანი პროფილით იქნებოდა.

– ახლა კი წარსულზე...

– გეოგრაფიულად თიანეთის რაიონი ქართლის და კახეთის გასაყარზეა. კახეთის სამეფო რომ ჩამოფალიბებულა, ამ სამეფოს რეზიდენცია თიანეთში ყოფილა. VI საუკუნიდან გადაუტანიათ სოფელ გრემში, მერე კი რეზიდენციამ თელავში გადაინაცვლა. ახლა კი ტერიტორიულად არ




ქეთევან ხატიაშვილი

გვაკუთვნებენ კახეთს. მოვიანებით დუშეთის რაიონი – ფშავიც, ხევსურეთიც, თიანეთის მხარაში ყოფილა გაერთიანებული. მაშინ ცენტრი თიანეთში გახლდათ. დღეს ზომ არის მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემადგენლობაში.

აქ მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება ძირითადად ფშაველ-ხევსურებით არის წარმოდგენილი.

ვაჟა-ფშაველას ეპოქის დროს ჩარგალი თიანეთის მხარაში შედიოდა. დიდ გლოსანს დღევან თიანეთი ჰყავდა – იგი სოფელ სხლოვანიდან იყო.

P.S: თიარ ცალუღელაშვილიან საუბარმა გული სითბოთი და სისარულით ამივსო, დამანახ ამ დღებულ ადამიანში, ბრწყინვალე ექიმში, რაოდენი უბრალოება, უშურველი სიკეთე და სიყვარულია პროფესიის, პაციენტებისა და მშობლიური თიანეთისადმი.



თორნიკე

თბილისისკენ გზად მომავალს გულს მიბობდა ოთარ ცალუღელაშვილის კაცურ-კაცობა, პროფესიონალიზმი და მისი მეუღლის – ქეთევან ხატიაშვილის სულის სიდიადე და სათნოება.

ესაუბრა ლეილა არჩვამაშვილი

რომ ბანძორობას ზემიში პიჰმას

ხან აღმართია წუთისოფელი, ხან გზა უგეგრად გაგამრუდდება, ხან დაეშვებით თავექვე დაღმართში, ზღვა იმედები გაგაცრუვდებათ.

მისაწყენია ღვინოც, ღრეობაც, სევედა-კაეშანს უნდა გაძლიება,

კალოს გაღეწვათ, გზა გაიღეწვათ, გერც თქვენ წაუხსნავთ განგების ნებას.

ჭენებით წაგა, გაიგეგვებს წუთი-სოფელი, ვაღმოსწვლინი ნუ დაფებთ მაქსიმის ხატთან, ოღონდ არ შედრკეთ, არ ჩამიშნოთ, არ ამიციმელდეთ სამარის კართან.

როცა დაგტოვებთ, დაგთმობთ, დაგლოცავთ, გული გიგულებთ ერის კაცებად, არ გაგაკგარვით დედის გულიდან

ელვარე ცრემლის თვალზე დაცდენამ. ახლა განცდა მაქვს, როგორც მორწმუნეს,

მიანლოებულს ღოცვებით მცხეთას, მე ისე წაგაღ წუთისოფლიდან, რომ განშორებას ზეგამი ერქვას!

როგორ უცებ გაეღვივებ შენს დიდ სიყვარულს!



ჩემო ლამარა! ჩემი ტკივილების გამზიარებელი, მეგობარო, მეოხო და დამაამბებელი... რა უცებ გამოაკლდით ოჯახს ასე თანმიმდევრულად, როგორ უცებ გაეღვივებ შენს დიდ სიყვარულს, თურმე როგორ გვევარებათ ერთმანეთი... შენი და ძვირფასი მეუღლის

— არჩილ ცუცქერიძის დაკარგვამ რა თავზარი დასცა თქვენს მოსიყვარულე ქალ-ვაჟს: მეღვინე და მალხაზ ცუცქერიძეებს, შვილიშვილებს: ანა, არჩილ (აჩიკო), ვამეზ ცუცქერიძეებს, დათო და გიორგი ზვიადაძეებს...

და ჩვენც, ჩემო ლამარა, ჩვენს ოჯახს — შენს ნათლულს ლაშა-გიორგი კრავიშვილს.

კარგა ხანია გულმტკივანი ვფიქრობ შენზე და ვერ დამძილვია დარდი შენს

არყოფნაზე არამარტო შენი ოჯახისთვის, ჩვენთვისაც — დედა ბოძად რომ გვედგეკი.

ნათქვამია, დიდი სიყვარული ენას ამუწავებსო: აქეთ იქით ვეპოტინები სიტყვებს შენთვის შესაფერის და დარდისგან ილავგაწვევ-

ტილი ცრემლს ვერ ვიკავებ თვალზე. როგორც შენ იბახდი, 44 წელი იღვწოდი ასი წლის გაზეთ „სახალხო განათლებაში“ სხვადასხვა რანგით, სხვადასხვა სტატუსით. ვერ გახდი დროსა და ზემდგომ ინსტანციებთან „მორგებული“. შენთვის გაუხუხარი იყო სიკეთისა და მორალის მარადიული ცნებები, ამიტომაც იყო მძიმე შენი ჟურნალისტური ჭაბანი. ეს შენი შემოქმედებითი ენერჯია ხშირად ამაოდ იხარჯებოდა ყველაზე ცხოვრებისეული აქტუალობით გამორჩეული წერილებში, თუ მათში „ამა ქვეყნის ძლიერთა“ ინტერესები ილახებოდა, ვერ პოულობდა დღის სინათლეს... დაუცველთა, რიგით ადამიანთა განქიქება კი არასდროს გიკადრია, თუ ის იურიდიულადაც არ იქნებოდა შეუწყნარებელი. „ამიტომაც, დადებითი განზოგადებას ვარჩევდი: როგორც ჟურნალისტს, რჩეული პედაგოგები, საუკეთესო თეატრალური დადგმები, კარგი დიპტერატურული თხზულებები მასაზრდოვებდა“.

ლამარა! ნამდვილი მკითხველი გყავდა, დამფასებელი და მოსიყვარულე, რასაც მათ მოწერილ წერილებს შენი უკეთილშობილესი გული სიკვდილამდე ინახავდა. ერთ-

ერთი მკითხველი მე ვიყავი შენთვის, შენი ღალად მოქმედი სტრიქონების წამკითხველიც და დამფასებელიც.

ხშირად ამბობდი: პოეტობის პრეტენზია არ მაქვსო... მაპატიოსო მკითხველმა ეს თავნებობაო, მაგრამ მე გეტყვი ახლა: შენი ბევრი პოეტური სტრიქონი, შენმა ჟურნალისტურმა წერილებმა გადაყლაპა. იქ, იმ სტრიქონებში მოჩანს პოეზიის მადლი და ძალა, ყმაწვილური, გულუბრყვილო აღფრთოვანება სხვადასხვა დროისა და მოვლენებისადმი.

ჩემი ნახევარი გული თან წაიღეთ ჩემო ლამარა, შენ და არ-



ჩილმა, ნახევარი აქვე მაქვს ჩემს შვილთან, შენს ნათლულთან — ლაშა გიორგისთან, ჩემს და-ძმებთან, ჩემს ძმიშვილებთან, დარჩენილ მეგობრებთან და დედასამშობლოსთან...

იზა ჯაჭავაძე

გთავაზობთ ლამარა ჩინჩალაძის ლექსს:

ბიძინა ივანოვიძის

თითქოს ზღაპარი მოგისმინე სინამდვილეზე, გულის და გონის სიკაშკაშის უცხო ამბავი, თითქოს ერთიან განახინანდა დგოვებრივ შუქით ჩემი სამშობლოს სანუკვარი ტურფა მთა-ბარი. ამდენ სიკეთეს თუკი თესავს შენი სიქველე, თუკი ამდენი შეგძლებია შენ, ერთს, სხიგოსანს, რა იქნებოდა კაცთა მოდგმის სხვა რჩეულები,

თუ გიწამებდნენ შენ მისაბად მძლავრ გვირგვინონსად?! თ, გაქრებოდა სიდატაკე სულის, ცხოვრების... გაიშლებოდა უამრავი სიკეთის გარდი, უამინდობა-უსაქმობას აღხვეტდა ქარი, იწვიებოდა სისარული სამოთხის ფარდი, არვის არასდროს დაჟანგავდა სევდა და დარდი.

დე, ზეცური მადლით იყოს მუდამ მოსილი შენი ცხოვრების ყველა წამი, წუთი, გზა-შარა! დაე, არასდროს მოსდებოდეს შენს მოდგმას ხაგსი, შემოქმედების სისარულით ჰყვაროდეს მარად! გაზეთი „კავკასია“, 2008 წელი.

გამოსათხროვარი



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლაზარე მათურელი. 9 ივნისი საბედისწერო დღე აღმოჩნდა მისთვის. წავიდა ამ ქვეყნიდან საქართველოზე, ფშავზე (თავის სამშობლოზე, როგორც მას თვითონ ეძახდა) მშობლიურ თიანეთზე, ნაქალაქარზე, ქართველობაზე, გვარზე უზომოდ შეყვარებული კაცი.

წავიდა გვარში და ნათესაობაში უზუცესი და პატივსაცემი ადამიანი — ბერმუსა, ახლობლებში ბოლომდე ჭკუასაკითხავი კაცი. ლაზარე მათურელმა თავისი ცხოვრება ფშაველი კაცისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით — ტრადიციულობით, სიღარბისლით, შრომისმოყვარეობით, უფროს-უმცროსობის წესების მტკიცე დაცვით იცხოვრა. სიკვდილსაც კარგი უნდაო და სწორედ კარგად გაზრდილი კაცი ორი ვაჟკაცი თამაზი და ვანო მათურელები წაართვა სიკვდილმა. მათი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ, მან შეწყვიტა აქტიური ცხოვრება, მაგრამ ოჯახის წევრებისაგან, შვილებისაგან, შვილიშვილებისაგან, ახლობლებისაგან ისევ ისე ითხოვდა სიცოცხლისაკენ სწრაფვას, რასაც გვარის გამრავლება და გაძლიერება უნდა მოეტანა. ასეთი იყო იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ნათელში იყოს მისი სული.

დაგვიანებული სამიძიარი გაზეთ „კავკასიის“ რედაქციისგან.


თითქო ვიცოცხლე დიდ ხანი, აღარ მომყვება ძალა სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე დიდი ხანია დავალ; მიმდგარი ვარო, ვიძახი თითქო მოვედი თავად, ასეთი ტანჯვით სიცოცხლე არ მიღირს ჩალის ფასად; ძალს მე, ძალს ჩემი ყისმათი ვერ შევაბრუნე აღმა, ჩემი ცხოვრების ბორბალი ვერ დავაბრუნე წაღმა; უკანა მდია სიკვდილმა კარგში მიჩნია კარგი, ორ ვაჟში ორივე წამართვა დამტოვა კაცის ლანდი. გამანადგურა, დამჩაგრა ჭირმა, ცრემლმა და დარდმა, ბაღლობით მოყოლებული გვარის ნაღების დაღვრაძ;

მამის სსოვნას

„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავთორემ დავიწყებ გმობასა“
სიკვდილამდე ორი თვით აღრე მოხმობილი ხალხური ლექსიდან ნათქვამი ლაზარე მათურელის მიერ.
ბიძამ, ძმამ, მერე შვილებმა მათმა უდროოდ წასვლამ, წერა — მწერელის გაწყრომამ ვერ შერიგებამ მასთან;
ვერ გავიხარე ცოლ-შვილში ჩემთვის მოვიდა წარღვნა, ვერ დამიფარა ნალოცმა, მათურელთ გვარის ხატმა. ისევ მათურას ვავედრებ, ჩემს მოდგამს, მოლიან გვარსა იმასამც ებარებოდეთ იმისი ძალის მადლსა; ჩემითამც გაძლეს სიკვდილი ჩემით ავისოს კალთა, ჩემით დამთავრდეს მათურელთ სიკვდილის ცელით ჯვარცმა.
მივდივარ ვერ მოგეფარეთ ბედი მაჩენდა მკაცრად გული კი მან ჩვილი მაქვს — მამაშვილობის მადლმა;

მიმარ მათურელი, 16 ივნისი, 2012 წელი 7

გოლო გვერდი აი, ვინაა კარგი ყმა



„კარგ ყმად ვინა ვსთქვით ვაჟებო? ნათქვამის არა გვრცხვენოდეს?“

კითხულობს დიდი ვაჟა.
ეს კითხვა დღესაც აწვალავს არაერთს. თამამად შემოიღია ვთქვა, **ზურაბ პაპიაშვილი** ჩემი დროის კარგი, უღალატო ყმაა, მასზე საუბრისას ვაჟას ეს მკაცრი და უკვდავი სტრიქონები მასწენდება:

„აი ვინაა კაი ყმა, მოსაგონარი ქებითა! არა თქვენ, სადაცნო, რო ძროხებივით ძღებითა.“

რატომო? მკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ ზურაბ პაპიაშვილი სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია. ჰერეთის მაღლიანი მიწიდან ლოცავს მთელ საქართველოს, მისი საქმე, ლექსი, მოთხრობა მამულის წრფელი სიყვარულითაა სავსე.

„ჩვენს დამონებას და ჩვენს გათელვას ნუ შეეცდება კაცი ნურცერთი, „დეგან ჩვენს უტეს, ქედუნრელ სულში თავისუფლების ნაგარდობს ღმერთი.“

„თავისუფლების ღმერთის“ ერთგულება ათქმევენებს პოეტს ამ სტრიქონებსაც:

„ცისკრის კარიბჭის დარაჯი ბრძოლით დაღლილი ღოში ვარ“.

ჰერეთი... საინგილოდ ქვეული ჰერეთი, ვველა ქართულის ტკივილი, ჩემი სტუდენტობისას **ნოდარ გრიგალაშვილის** სტრიქონებით შემოვიდა:

„დეგან საქართველო ამორძალივით, ალაზნის გაღმა მოჭრილ ძუძუთი.“

„ალაზნის გაღმა მოჭრილ ძუძუთი.“

ზურაბ პაპიაშვილის ნაწარმოები კი, როგორც ნიმუში ქართული სულის გაუტენლობისა, ალაზნის გაღმიდან იმედად მეღერება სულში.

წაიკითხეთ ზურაბ პაპიაშვილის ლექენდა „გულის მიწა“ და თქვენც ჩემთან ერთად ალივსებით სიამაყით, იმედით და იმ მშვენიერი სევდით, ჭეშმარიტი ნაწარმოების წაკითხვისას რომ ეუფლება ადამიანს.

მკითხველის სიყვარული და იმ ნატურის ახდენა მინდა ვუსურვო ზურაბ პაპიაშვილს, „რასაც დღედაღამ ნატრულობს, ჩუპის ნატვრითა ქართველი.“

მაცვალა გონაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

P.S: ახლანახანს საჯარო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული კორპუსის დარბაზში გაიმართა **ჰერეთელი მწერლის ზურაბ პაპიაშვილის** ლექსებისა და მოთხრობების პრეზენტაცია, რომელიც გამოიცა „კავკასიის ფონდის“ მხარდაჭერით (პრეზიდენტი გივი ლამბაშიძე). ამ ღონისძიებაზე დაესწრო ზურაბ პაპიაშვილს გვერდს უმშვენებდნენ „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტი **გივი ლამბაშიძე**, მშობლიური ჰერეთის მკვიდრნი, ნათესავები, მეგობრები და თბილისის გამორჩეული საზოგადოება.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა კონკურსის გამარჯვებული ჟურნალისტები დაასახელა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის კონკურსში თემაზე: „სამოქალაქო აქტიუობა“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კონკურსი რეგიონული მედიის ჟურნალისტებისთვის პერიოდულად ტარდება და მისი მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო აქტიუობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის და მოქალაქეთა ინიციატივების გაშუქებას.

კონკურსი 3 ნომინაციაში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა გამარჯვებულები მხოლოდ „საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტის“ ნომინაციაში გამოვლინდნენ. კონკურსის ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც ზვიად ქორიძე, დავით პაიჭაძე და სოსო სიმონიშვილი იყვნენ,

საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტისათვის ჯილდო, 500-500 ლარი, მარიამ აშულაშვილსა (კახეთი) და ნინო ნიბიურს (შიდა ქართლი) მიაკუთვნეს.

საუკეთესო სტატიის ნომინაციაში წამახალისებელი პრემია (300 ლარი) თემურ მარშანიშვილს უნდა გადაეცეს, რომელიც გაზეთი „გურიის მოამბეს“ (ოზურგეთი) წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის სპეციალური პრიზი და 500 ლარი კი - გოგა აფციაურს რადიოსიუჟეტისთვის. გოგა აფციაური რადიო „თავისუფლებისთვის“ მუშაობს გორიდან. ის Media.Ge-სთანაც თანამშრომლობს.

წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის ანბარიშები mediamonitor.ge-ზე

www.mediamonitor.ge - ეს არის ვებ-გვერდი, სადაც ქვეყნდება წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის უახლესი შუალედური ანგარიშები.


მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში www.mediamonitor.ge-ც ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა. პროგრამის მთავარი მიზანია საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, პროფესიული, მიუკერძოებელი და

დაბალანსებული მედია გაშუქების ხელშეწყობა მონიტორინგის გზით. ხორციელდება ქართული ტელე-რადიო, ბეჭდური და ონლაინ მედია საშუალებების რაოდენობრივი და თვისებრივი წინასაარჩევნო მონიტორინგი. მონიტორინგს ატარებენ ავტორიტეტული სლოვაკური კომპანია „მემო 98“-ის მიერ გაწვეთნილი ქართული სამოქალაქო ორგანიზაციები. მონიტორინგის შედეგები განიხილება, მოწვეულ მედია ექსპერტებთან ერთად, ყოველკვირეულ გადაცემაში - „მედია მონიტორი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში: ორშაბათს 23:30 სთ-ზე.

მილოცვა

გულოცავთ დაბადების დღეს

ბიბა-ჰმისუვილს **ირაკლი ჯაჭვამის** **და ზაძრო ჯაჭვამის** * **ლელა დონაძეს** * **მედიკალა ჭინჭარაშვილ-ძარსელაძეს** * **ბია ჭინჭარაშვილს** * **ბადათერ არაბულს** * **ქეთევან დოლიძეს** * **რეზო მორგოზიას** * **მამუკა ვაშაძემს** * **მანუჩარ კობიაშვილს** * **დებს:** **თინიკო და დალი ნაყურაშვილს** * **ასმათ არაბულს** * **თამარ კირვალიძეს და გორა უათირიშვილს** **გაზეთ „კავკასიის“ რედაქცია ულოცავს** **გაბაძენიშვილს.**

 <p>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი</p> <p>ივა ჯაჭვამი</p>	<p>რედაქტორი ლაშა-გიორგი პრაპიშვილი</p> <p>რედაქტორის მოადგილე ლიანა გიბიაძე</p>	<p>სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგორიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუნუზარ ილიაძე, ლევან ცალაუელაშვილი, მარინე თექიუშანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეოლა არჩიშვილი, გელა კობიაშვილი, ომარ მარუტაშვილი, გოჩა ხარნაული.</p> <p>გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად ამაზე პასუხს მასალაში უნდა ატარებდნენ. სისწორეში, ავტორთა მოსაზრებები უნდა იყოს არ მთავარია რედაქციის პოლიტიკის. გაზეთიდან მასალის გადახვევა რედაქციისთვის უშუალოდ დაუშვებელია.</p>	<p>მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელ: 52-16-38 899-79-76-13</p> <p>დაეკავშირება კობა ბედოიძის დიზაინერს www.bedoidze.site.ge</p>
--	--	--	--